



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2012 წ. 6 ივლისის №733 დადგენილებით  
მოდირიცირებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2020 წლის 12 ოქტომბრის  
№ 01.05.04/153 დადგენილებით

## ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

არქიტექტურა

Architecture

### ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

Faculty of Architecture, Urban Planning and Design

### პროგრამის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ხვედელიანი

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

არქიტექტურის ბაკალავრი  
(Bachelor of Architecture)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობისა (223 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტების (17 კრედიტი) კომბინირებით არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სპეციალური კომისიის წინაშე გაივლის გასაუბრებას, სადაც წარადგენს საკუთარი ხელით შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევრებს (ნახატებს და ნახაზებს) და ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გასაუბრების ჩატარების თარიღი გამოქვეყნდება სტუ-ს ვებგვერდზე.

## პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, გათვლით - 1 კრედიტი დრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში. საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 4 წელი. ერთი აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს. ის მოიცავს საშუალოდ 60 (ECTS) კრედიტს. სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს. სემესტრი თავის მხრივ არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს. ასევე ერთ შუასემესტრულ გამოცდას. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან 15 სასწავლო კვირას (სააუდიტორიო მეცადინეობები), 4 სასესიო კვირას (დასკვნითი და დამატებითი გამოცდები), ასევე ერთ შუასემესტრული გამოცდისთვის განკუთვნილ კვირას. ერთი სემესტრი საშუალოდ მოიცავს 30 კრედიტს. კონკრეტული სემესტრის ხანგრძლივობა დგინდება რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით „სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, კერძოდ, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 (დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 10), ხოლო შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა - 60. ამასთან, შუალედური შეფასება მოიცავს 2 კომპონენტს: შუასემესტრულ გამოცდას და მიმდინარე აქტივობის შეფასებას (ტესტირება, პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულება, სემინარზე აქტივობა, კროკების შესრულება, კლაუზურა და სხვ.). შუასემესტრული გამოცდა შეფასების აუცილებელი კომპონენტია, მისი მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა.

8 სასწავლო სემესტრის მომცველი, 240 კრედიტიანი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“ მოიცავს ძირითადი საგნების 223 კრედიტს, აქედან უცხოური ენის კომპონენტს ეთმობა 6 კრედიტი, არჩევით ჰუმანიტარულ საგნებს - 3 კრედიტი, არჩევით ტექნიკურ საგნებს - 3 კრედიტი, სპეციალობის არჩევით საგნებს - 30 კრედიტი, რომელთაგან 23 კრედიტი ისწავლება მეოთხე კურსის პირველ და მეორე სემესტრებში და წარმოდგენილია, როგორც არქიტექტურის სამი ძირითადი მიმართულების - არქიტექტურა, ურბანისტიკა და გარემოს დიზაინი - ამსახველი საგანთა ბლოკები. სწავლების ბოლო სემესტრში, არჩეული საგანთა ბლოკის ფარგლებში, სტუდენტი ასრულებს საბაკალავრო პროექტს. პროგრამა ასევე ითავსებს 17 კრედიტ თავისუფალ კომპონენტს (14 სასწავლო კურსი, სულ 63 კრედიტი), რომელთაგან სტუდენტმა უნდა არჩევით დააგროვოს VI სემესტრში 6 კრედიტი, VII სემესტრში 5 კრედიტი და VIII სემესტრში 6 კრედიტი.

## პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი არის არქიტექტურის საფუძვლების, მისი არსის, განვითარების კანონზომიერებების, დაპროექტების ძირითადი პრინციპების და მეთოდების მცოდნე შემოქმედებითი და სივრცული აზროვნების მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის ხელმძღვანელობით და მითითებებით არქიტექტურული პრაქტიკული საქმიანობა, რაც გულისხმობს ქალაქთმშენებლობით, შენობა-ნაგებობების, მათი ინტერიერების და დიზაინური ობიექტების დაპროექტებას.

## სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

### ცოდნა და გაცნობიერება:

ზოგად მეცნიერებათა ძირითადი ცნებებისა და კომპლექსური საკითხების ცოდნა და გაცნობიერება.

არქიტექტურის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ქალაქთმშენებლობის, მოცულობითი არქიტექტურის, გარემოს დიზაინისა და ინტერიერის მიმართულებით პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობიერება;

ფერთა ჰარმონიის და კომპოზიციის კანონების ცოდნა და მათი, როგორც სივრცით აზროვნებაზე და პროპორციის შეგრძნებაზე ზემოქმედების მქონე სასწავლო კურსების გაცნობიერება; არქიტექტურის ისტორიის და თეორიის, სახვითი ხელოვნების, ბუნებრივ - კლიმატური ფაქტორების, კულტურულ

მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების, როგორც არქიტექტურულ დაპროექტებაზე გავლენის მქონე სფეროების ცოდნა და გაცნობიერება; საპროექტო მასალის ვიზუალიზაციისთვის პროფესიული ხერხების ცოდნა; დაპროექტების თეორიის და მეთოდების ცოდნა; სხვადასხვა კონსტრუქციების, მასალების თვისებების და მშენებლობის მეთოდების ცოდნა; არქიტექტურული გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სოციალური კონტექსტის გაცნობიერება; ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპების და შენობა-ნაგებობებზე გარე ფაქტორების ზემოქმედების ცოდნა და გაცნობიერება; მშენებლობაში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიების ცოდნა და მათი ევოლუციის გაცნობიერება; სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციების, ტექნიკური მომსახურების და უსაფრთხოების სისტემების გაცნობიერება.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობის დადგენა და მათი გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად.

არქიტექტურის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად;

ბუნებრივ-კლიმატური, ქალაქთმშენებლობითი ფაქტორების, ფუნქციური, ესთეტიკური, ტექნიკური მოთხოვნების, ერგონომიკული თავისებურებების და კომპოზიციის კანონების გათვალისწინებით და შესაბამისი მითითებებით დაპროექტების უნარი; ადგილობრივ და მსოფლიო არქიტექტურაში ისტორიული და კულტურული პრეცედენტების ცოდნის საფუძველზე ქმედების უნარი; ნატივ ხელოვნებათა, როგორც არქიტექტურული პროექტის ხარისხზე ზეგავლენის მქონე ფაქტორის, ცოდნის საფუძველზე ქმედების უნარი; მოქმედი საკანონმდებლო აქტების და ნორმატიული წესების საფუძველზე, ნახაზების, სქემების, ჩანახატების, ესკიზების და მოდელირების გამოყენებით, დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის მითითებებით, არქიტექტურული პროექტების დამუშავების უნარი.

#### **დასკვნის უნარი:**

განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

არქიტექტურის სფეროში არსებული მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სტანდარტული მეთოდების გამოყენებით მათი გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება;

არქიტექტურისათვის დამახასიათებელი არსებითი პრობლემების ამოცნობა; ლოგიკური აზროვნების საფუძველზე განყენებული მონაცემების, სიტუაციების, კონსტრუქციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და პროექტირებასთან დაკავშირებული სხვა საინჟინრო პრობლემების გაანალიზება და იდეურ-მხატვრული, ლოგიკური, ემოციური და ესთეტიური არგუმენტაციის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

#### **კომუნიკაციის უნარი:**

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;

შემოქმედებითი იდეების, პროფესიული ინფორმაციის თუ საკუთარი აზრის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე;

ლაკონურად და გასაგებად პროექტების წერილობითი აღწერის და საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემის უნარი. მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი; პროფესიული ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; ფართო აუდიტორიის წინაშე პროექტის წარდგენისა და დაცვის უნარი; იდეების ვიზუალური კომუნიკაციის ხერხებით (ჩანახატები, მაკეტები, მექანიკური, ელექტრონული, გრაფიკული) გადმოცემის და მათი საშუალებით საჭირო ზემოქმედების მოხდენის უნარი.

### სწავლის უნარი:

ცვალებად ვითარებაში არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა;

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა, პროფესიული ცოდნისა და არქიტექტურის სფეროში გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.

### ღირებულებები:

მეცნიერული, ზოგადსაკაცობრიო, ზნეობრივი, ესთეტიკური, სოციალულ-კულტურული ღირებულებების, ქართული კულტურის ფენომენის სათანადო შეფასება.

არქიტექტურისთვის დამახასიათებელი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;

ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად; არქიტექტურის სფეროში საავტორო უფლებების, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ეთიკის კოდექსებით გათვალისწინებული ნორმების დაცვა.

### სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  
 პრაქტიკა  საკურსო სამუშაო/პროექტი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება –სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
5. შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის

- კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.
6. გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
    - პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
    - დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
    - შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
    - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
    - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
    - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
  7. როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
  8. დემონსტრირების მეთოდი – აქტივობის ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გაეხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
  9. ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
  10. დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
  11. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
  12. სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
  13. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
  14. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების

შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

15. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
16. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
17. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

### დასაქმების სფერო

- ადგილობრივი თვითმართველობის (სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი) ორგანოები;
- არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;
- არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები და ფონდები;
- აზომვითი სამუშაოების მწარმოებელი ფირმები.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 104

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი	II წელი	III წელი	IV წელი				
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	არ აქვს	5							
2	მხაზველობითი გეომეტრია	არ აქვს	3							
3	<b>უცხოური ენა (არჩევითი)</b>									
3.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს	3							
3.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს								
3.3	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს								
3.4	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს								
4	შესავალი არქიტექტურაში და არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლები	არ აქვს	6							
5	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები	არ აქვს	4							
6	ხატვა - მარტივი ფორმები	არ აქვს	4							
7	არქიტექტურის ისტორია 1	არ აქვს	5							
8	გეოდეზია არქიტექტურაში	არ აქვს		4						
9	<b>უცხოური ენა (არჩევითი)</b>									
9.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	ინგლისური ენა ტექნიკ. სპეციალობებისათვის - 1	3							
9.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	რუსული ენა ტექნიკ. სპეციალობებისათვის - 1								
9.3	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	გერმანული ენა ტექნიკ. სპეციალობებისათვის - 1								
9.4	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	გერმანული ენა ტექნიკ. სპეციალობებისათვის - 1								
10	არქიტექტურული გეგმარების საწყისები და აზომვითი პრაქტიკა	შესავალი არქიტექტურაში და არქიტექტურული გრაფიკის	3							

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი								
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		
			სემესტრი								
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
		საფუძვლები									
11	არქიტექტურული გრაფიკა	არ აქვს		3							
12	მოცულობით სივრცითი კომპოზიცია	არ აქვს		3							
13	შესავალი პლასტიკურ არქიტექტურულ მოდელირებაში	არ აქვს		3							
14	ხატვა და პლასტიკა	ხატვა - მარტ. ფორმები		5							
15	არქიტექტურის ისტორია 2	არქიტექ. ისტორია 1		3							
16	<b>არჩევითი საგნები N1 (ჰუმანიტარული)</b>										
16.1	ფილოსოფიის საფუძვლები	არ აქვს		3							
16.2	სოციოლოგიის შესავალი	არ აქვს									
16.3	აკადემიური წერის ელემენტები	არ აქვს									
16.4	შესავალი ფსიქოლოგიაში	არ აქვს									
16.5	საქართველოს ისტორია	არ აქვს									
16.6	კოლტურა და თანამედროვეობა	არ აქვს									
16.7	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს									
17	არქიტექტურული ინფორმატიკა	არ აქვს			5						
18	ფერწერა	ხატვა - მარტ. ფორმები			4						
19	არქიტექტურის ისტორია 3	არქიტექ. ისტორია 2			4						
20	პროექტირების ნორმატიული და საკანონმდებლო საფუძვლები	არ აქვს			3						
21	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლები	არ აქვს			3						
22	ერგონომიკის საფუძვლები	არ აქვს			3						
23	არქიტექტურული დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	არ აქვს			5						
24	<b>არჩევითი საგნები N2 (სპეციალობის)</b>										
24.1	პლასტიკური არქიტექტურული მოდელირება	შესავალი პლასტიკურ არქიტექტ. მოდელ.-ში			3						
24.2	გრაფიკა	ხატვა - მარტ. ფორმები									
24.3	ქანდაკება	ხატვა - მარტ. ფორმები									
24.4	კომპიუტერული დაგეგმარება	არ აქვს									
24.5	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	არ აქვს									



№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი											
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი					
			სემესტრი											
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII				
24.6	არქიტექტურული დისკურსი და დიზაინი	არ აქვს												
24.7	ტექსტილი და აქსესუარები არქიტექტურულ დიზაინში	არ აქვს												
24.8	ჩრდილები და პერსპექტივი	მზაზველობ. გეომეტრია												
25	წყალმომარაგება და წყალარინება	არ აქვს				3								
26	არქიტექტურული მასალათამცოდნეობა	არ აქვს				3								
27	<b>არჩევითი საგნები N3 (სპეციალობის)</b>													
27.1	საზოგადოებრივი კომპლექსების პროექტირება	არქიტექტურული დაპრ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები												
27.2	ლანდშაფტური არქიტექტურის ქალაქგეგმარებითი ასპექტები	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლ.				4								
27.3	ურბანული განვითარების სოციოკულტურული საფუძვლები	არ აქვს												
27.4	რეკლამა და შუქრეკლამა	არ აქვს												
27.5	არქიტექტურული დისკურსი და ინტერიერი	არ აქვს												
27.6	ეპოქა და სტილი ინტერიერში	არ აქვს												
27.7	ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების პრინციპები	არ აქვს												
28	მცირე საზოგადოებრივი ობიექტის არქიტექტურული დაპროექტება	არქიტექტურული დაპრ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები				5								
29	ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 1	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლ.				5								
30	ინტერიერის დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	არ აქვს				5								
31	გარემოს დიზაინური დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	არ აქვს				5								
32	არქიტექტურის და ხელოვნების თანამედროვე პრობლემები	არ აქვს					3							
33	შრომის დაცვის საფუძვლები	არ აქვს					3							
34	კონსტრუქციები არქიტექტურაში 1	არ აქვს					3							
35	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის	არქიტექტურ					5							

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი															
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი									
			სემესტრი															
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII								
	დაპროექტება	ული დაპრ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები																
36	ქალაქი, ტრანსპორტი და ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 2	ქალაქთმშენ ებლობის თეორიის საფუძვლ.						6										
37	საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერის დაპროექტება	ინტერიერის დაპროექტებ. თეორიული და პრაქტიკ- ული საფუძვ.						5										
38	ქუჩის მონაკვეთის დიზაინ-პროექტი	გარემოს დიზაინური დაპროექტებ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები						5										
39	კონსტრუქციები არქიტექტურაში 2	კონსტრუქც. არქიტ.-ში 1								4								
40	საზოგადოებრივი ცენტრის არქიტექტურული დაპროექტება	არქიტექტურ ული დაპრ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები								5								
41	ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 3	ქალაქი, ტრანსპორტ. და ქალაქთმ. პროექტირ. 2								5								
42	სამრეწველო დანიშნულების ინტერიერის დაპროექტება	ინტერიერის დაპროექტებ. თეორიული და პრაქტიკ- ული საფუძვ.								5								
43	მცირე არქიტექტურული ფორმების დიზაინ- პროექტი	გარემოს დიზაინური დაპროექტებ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები								5								
44	კონსტრუქციები არქიტექტურაში 3	კონსტრუქც. არქიტ.-ში 2													4			
45	არქიტექტურული ფიზიკა - შენობების ენერგოეფექტურობა, კლიმატოლოგია, ინსოლაცია	არ აქვს													5			

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი								
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		
			სემესტრი								
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
46	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული დაპროექტება	არქიტექტურული დაპრ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები								5	
47-48	<b>არჩევითი საგანთა ბლოკები:</b> საგანთა ბლოკი 1 - არქიტექტურა საგანთა ბლოკი 2 - ურბანისტიკა საგანთა ბლოკი 3 - გარემოს დიზაინი										
47.1	შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია	არქიტექტურული დაპრ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები									
47.2	ლანდშაფტური არქიტექტურა	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლ.								6	
47.3	გარემოს დიზაინური პროექტირება	გარემოს დიზაინური დაპროექტებ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები									
48.1	საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების არქიტექტურა	არ აქვს									
48.2	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები	ქალაქმშენებლობის თეორიის საფუძვლები								5	
48.3	ფერთამცოდნეობა	არ აქვს									
49	არქიტექტურული ფიზიკა - განათებულობა, აკუსტიკა	არ აქვს									4
50	სამრეწველო-სატრანსპორტო შენობის არქიტექტურული დაპროექტება	არქიტექტურული დაპრ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები									5
51	<b>არჩევითი საგნები N4 (ტექნიკური)</b>										
51.1	საინჟინრო კონსტრუქციები	არ აქვს									
51.2	თბო-აირ მომარაგება და ვენტილაცია	არ აქვს									
51.3	შენობა- ნაგებობებთან არქიტექტურა და კონსტრუქციები	კონსტრუქც. არქიტექტ. 3									3
51.4	სამშენებლო სივრცე და მშენებლობის	არ აქვს									

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	თანამედროვე ტექნოლოგიები									
51.5	დაპროექტებისა და მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია	არ აქვს								
52-53	<b>არჩევითი საგანთა ბლოკები:</b> საგანთა ბლოკი 1 - არქიტექტურა საგანთა ბლოკი 2 - ურბანისტიკა საგანთა ბლოკი 3 - გარემოს დიზაინი									
52.1	არქიტექტურული დისკურსის თემები საერთაშორისო არქიტექტურაში	არქიტექტ. ისტორია 3								
52.2	ურბანული (ქალაქთმშენებლობითი) რეკონსტრუქცია	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლ.							5	
52.3	ინოვაციური მასალები არქიტექტურულ დიზაინში	არ აქვს								
53.1	საბაკალავრო პროექტი (არქიტექტურა)	საზოგადოებ. ცენტრის არქიტექტ. დაპროექტება								
53.2	საბაკალავრო პროექტი (ურბანისტიკა)	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლ.							7	
53.3	საბაკალავრო პროექტი (გარემოს დიზაინი)	გარემოს დიზაინური დაპროექტებ. თეორიული და პრაქტიკ. საფუძვლები								
54-56	<b>თავისუფალი კომპონენტი</b>									
54.1	არქეოლოგიური არქიტექტურა და ძეგლთა რესტავრაცია	არ აქვს					3			
54.2	არქიტექტურის პოეტიკა	არ აქვს								
54.3	არქიტექტურული დისკურსი და ქალაქი	არ აქვს								
54.4	ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია	არ აქვს					3			
54.5	დედამიწის ისტორია	არ აქვს								
55.1	გამწვანება და დეკორი	არ აქვს								
55.2	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	არ აქვს								
55.3	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები (ანტროპომეტრია)	არ აქვს						5		
55.4	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს								

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
55.5	აქსესუარების მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარება	არ აქვს								
55.6	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი	არ აქვს								
56.1	ავეჯის დიზაინი	არ აქვს								
56.2	მოცულობითი მოდელირება	არ აქვს								6
56.3	სამგანზომილებიანი მოდელირება	არ აქვს								
<b>სემესტრში</b>			<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
<b>წელიწადში</b>			<b>60</b>		<b>60</b>		<b>60</b>		<b>60</b>	
<b>სულ</b>			<b>240</b>							

### სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	+	+			+	
2	მხაზველობითი გეომეტრია	+	+			+	
3.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	+	+		+	+	
3.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	+	+		+	+	
3.3	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	+	+		+	+	
3.4	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	+	+		+	+	
4	შესავალი არქიტექტურაში და არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
5	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები	+	+	+			
6	ხატვა - მარტივი ფორმები	+	+		+		+
7	არქიტექტურის ისტორია 1	+	+	+	+		
8	გეოდეზია არქიტექტურაში	+	+	+			
9.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	+	+		+	+	
9.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	+	+		+	+	
9.3	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	+	+		+	+	
9.4	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	+	+		+	+	
10	არქიტექტურული გეგმარების საწყისები და აზომვითი პრაქტიკა	+	+	+	+	+	+

11	არქიტექტურული გრაფიკა	+	+	+			
12	მოცულობით სივრცითი კომპოზიცია	+	+	+	+		
13	შესავალი პლასტიკურ არქიტექტურულ მოდელირებაში	+	+				
14	ხატვა და პლასტიკა	+	+		+		+
15	არქიტექტურის ისტორია 2	+		+	+	+	
16.1	ფილოსოფიის საფუძვლები	+	+				+
16.2	სოციოლოგიის შესავალი	+	+	+			+
16.3	აკადემიური წერის ელემენტები	+	+		+		
16.4	შესავალი ფსიქოლოგიაში	+	+		+		
16.5	საქართველოს ისტორია	+	+	+	+		
16.6	კოლტურა და თანამედროვეობა	+	+				+
16.7	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	+	+		+		
17	არქიტექტურული ინფორმატიკა	+	+	+	+	+	
18	ფერწერა	+	+		+		+
19	არქიტექტურის ისტორია 3	+		+	+	+	
20	პროექტირების ნორმატიული და საკანონმდებლო საფუძვლები	+	+	+		+	
21	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლები	+		+	+	+	
22	ერგონომიკის საფუძვლები	+	+	+			
23	არქიტექტურული დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	+	+	+	+		
24.1	პლასტიკური არქიტექტურული მოდელირება	+	+				
24.2	გრაფიკა	+	+		+		+
24.3	ქანდაკება	+	+		+		+
24.4	კომპიუტერული დაგეგმარება	+	+	+	+	+	
24.5	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	+		+	+	+	
24.6	არქიტექტურული დისკურსი და დიზაინი	+	+		+	+	
24.7	ტექსტილი და აქსესუარები არქიტექტურულ დიზაინში	+	+	+		+	
24.8	ჩრდილები და პერსპექტივი	+	+			+	
25	წყალმომარაგება და წყალარინება	+	+	+		+	
26	არქიტექტურული მასალათამცოდნეობა	+	+	+		+	
27.1	საზოგადოებრივი კომპლექსების პროექტირება	+	+	+	+		
27.2	ლანდშაფტური არქიტექტურის ქალაქგეგმარებითი ასპექტები	+	+		+	+	+
27.3	ურბანული განვითარების სოციოკულტურული საფუძვლები	+		+	+	+	+
27.4	რეკლამა და შუქრეკლამა	+	+	+	+	+	
27.5	არქიტექტურული დისკურსი და ინტერიერი	+	+		+	+	
27.6	ეპოქა და სტილი ინტერიერში	+	+			+	+
27.7	ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების პრინციპები	+			+	+	+
28	მცირე საზოგადოებრივი ობიექტის არქიტექტურული დაპროექტება	+	+	+	+		
29	ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 1	+	+		+	+	+
30	ინტერიერის დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	+	+	+		+	

31	გარემოს დიზაინური დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	+	+	+	+	+	
32	არქიტექტურის და ხელოვნების თანამედროვე პრობლემები	+	+	+	+		
33	შრომის დაცვის საფუძვლები	+	+				
34	კონსტრუქციები არქიტექტურაში 1	+	+	+	+	+	
35	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დაპროექტება	+	+	+	+		
36	ქალაქი, ტრანსპორტი და ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 2	+	+	+	+	+	
37	საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერის დაპროექტება	+	+	+		+	
38	ქუჩის მონაკვეთის დიზაინ-პროექტი	+	+	+	+	+	
39	კონსტრუქციები არქიტექტურაში 2	+	+	+	+	+	
40	საზოგადოებრივი ცენტრის არქიტექტურული დაპროექტება	+	+	+		+	
41	ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 3	+	+		+	+	+
42	სამრეწველო დანიშნულების ინტერიერის დაპროექტება	+	+				
43	მცირე არქიტექტურული ფორმების დიზაინ-პროექტი	+	+	+			
44	კონსტრუქციები არქიტექტურაში 3	+	+	+		+	
45	არქიტექტურული ფიზიკა - შენობების ენერგოეფექტურობა, კლიმატოლოგია, ინსოლაცია	+			+	+	+
46	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული დაპროექტება	+	+	+	+	+	
47.1	შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია	+	+	+			+
47.2	ლანდშაფტური არქიტექტურა	+	+		+	+	+
47.3	გარემოს დიზაინური პროექტირება	+	+	+	+	+	
48.1	საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების არქიტექტურა	+	+	+	+	+	
48.2	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები	+	+				+
48.3	ფერთამცოდნეობა	+	+	+	+		
49	არქიტექტურული ფიზიკა - განათებულობა, აკუსტიკა	+			+	+	+
50	სამრეწველო-სატრანსპორტო შენობის არქიტექტურული დაპროექტება	+	+	+			+
51.1	საინჟინრო კონსტრუქციები	+	+	+			
51.2	თბო-აირ მომარაგება და ვენტილაცია	+	+	+			
51.3	შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა და კონსტრუქციები	+	+	+	+	+	
51.4	სამშენებლო სივრცე და მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიები	+	+				+
51.5	დაპროექტებისა და მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია	+	+	+			
52.1	არქიტექტურული დისკურსის თემები საერთაშრისო არქიტექტურაში	+	+	+	+		+
52.2	ურბანული (ქალაქთმშენებლობითი) რეკონსტრუქცია	+	+		+	+	
52.3	ინოვაციური მასალები არქიტექტურულ დიზაინში	+	+	+		+	
53.1	საბაკალავრო პროექტი (არქიტექტურა)	+	+	+	+	+	+

53.2	საბაკალავრო პროექტი (ურბანისტიკა)	+	+	+	+	+	+
53.3	საბაკალავრო პროექტი (გარემოს დიზაინი)	+	+	+	+	+	+
54.1	არქეოლოგიური არქიტექტურა და ძეგლთა რესტავრაცია	+	+	+		+	+
54.2	არქიტექტურის პოეტიკა	+		+			+
54.3	არქიტექტურული დისკურსი და ქალაქი	+		+	+		
54.4	ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია	+	+	+	+	+	+
54.5	დედამიწის ისტორია	+	+	+			
55.1	გამწვანება და დეკორი	+	+		+	+	
55.2	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	+	+	+		+	
55.3	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები (ანტროპომეტრია)	+	+	+		+	
55.4	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	+	+	+			+
55.5	აქსესუარების მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარება	+	+	+			+
55.6	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი	+	+	+			
56.1	ავეჯის დიზაინი	+	+	+			
56.2	მოცულობითი მოდელირება	+	+				
56.3	სამგანზომილებიანი მოდელირება	+	+	+	+	+	

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	MAS34308G1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	5/125	15		30				1	2	77
2.	EET70105G1	მზაველობითი გეომეტრია	3/75	15		15				1	1	43
3.	LEH14412G1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75			30				1	1	43
	LEH14612G1	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75			30				1	1	43
	LEH15012G1	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75			30				1	1	43
	LEH14812G1	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75			30				1	1	43



4.	AAC10206G1	შესავალი არქიტექტურაში და არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლები	6/150	10		30			20	2	2	86
5.	AAC10306G1	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები	4/100	12		18				2	2	66
6.	ART30106G1	ხატვა - მარტივი ფორმები	4/100			75				2	2	21
7.	HEL20606G1	არქიტექტურის ისტორია 1	5/125	30	15					1	1	78
8.	PHS40303G1	გოდეზია არქიტექტურაში	4/100	9			9	40		1	1	40
9.	LEH14512G1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	3/75			30				1	1	43
	LEH14712G1	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	3/75			30				1	1	43
	LEH15112G1	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	3/75			30				1	1	43
	LEH14912G1	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	3/75			30				1	1	43
10.	AAC10406G1	არქიტექტურული გეგმარების საწყისები და აზომვითი პრაქტიკა	3/75			30		30		1	1	13
11.	AAC10506G1	არქიტექტურული გრაფიკა	3/75			30				1	1	43
12.	AAC10606G1	მოცულობით სივრცითი კომპოზიცია	3/75			30				1	1	43
13.	AAC10706G1	შესავალი პლასტიკურ არქიტექტურულ მოდელირებაში	3/75	15					15	2	2	41
14.	ART30306G1	ხატვა და პლასტიკა	5/125			90				2	2	31
15.	HEL20706G1	არქიტექტურის ისტორია 2	3/75	15	15					1	1	43
16.	HEL30212G1	ფილოსოფიის საფუძვლები	3/75	15	15					1	1	43
	SOS40312G1	სოციოლოგიის შესავალი	3/75	15	15					1	1	43
	LEH12112G1	აკადემიური წერის ელემენტები	3/75	15	15					1	1	43
	SOS30312G1	შესავალი ფსიქოლოგიაში	3/75	15	15					1	1	43
	HEL20212G1	საქართველოს ისტორია	3/75	15	15					1	1	43
	SOS40112G1	კოლტურა და თანამედროვეობა	3/75	15	15					1	1	43
	LEH12012G1	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	3/75	15	15					1	1	43
17.	ICT16006G1	არქიტექტურული ინფორმატიკა	5/125	15			30			1	1	78
18.	ART30206G1	ფერწერა	4/100			75				2	2	21
19.	HEL20806G1	არქიტექტურის ისტორია 3	4/100	15	15					1	1	68
20.	AAC11006G1	პროექტირების ნორმატიული და საკანონმდებლო საფუძვლები	3/75	15	15					1	1	43
21.	AAC20106G1	ქალაქთმშენებლობის თეორიის საფუძვლები	3/75	15				15		2	2	41
22.	AAC60706G1	ერგონომიკის საფუძვლები	3/75	15		15				1	1	43
23.	AAC11206G1	არქიტექტურული დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	5/125	7		23		15		2	2	76
24.	AAC10806G1	პლასტიკური არქიტექტურული მოდელირება	3/75	15				15		2	2	41
	ART30406G1	გრაფიკა	3/75			60				2	2	11

	ART31206G1	ქანდაკება	3/75			60			2	2	11
	ICT16106G1	კომპიუტერული დაგეგმარება	3/75				30		1	1	43
	HEL20906G1	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	3/75	15	15				1	1	43
	AAC60606G1	არქიტექტურული დისკურსი და დიზაინი	3/75	15	15				1	1	43
	AAC70106G1	ტექსტილი და აქსესუარები არქიტექტურულ დიზაინში	3/75	5				25	1	1	43
	EET70905G1	ჩრდილები და პერსპექტივი	3/75	15		15			1	1	43
25.	AAC45301G2	წყალმომარაგება და წყალარინება	3/75	15		15			1	1	43
26.	EET89901G1	არქიტექტურული მასალათამცოდნეობა	3/75	15			15		1	1	43
27.	AAC11806G1	საზოგადოებრივი კომპლექსების პროექტირება	4/100				30		1	1	68
	AAC50106G1	ლანდშაფტური არქიტექტურის ქალაქგეგმარებითი ასპექტები	4/100	15				15	2	2	66
	AAC20306G1	ურბანული განვითარების სოციალურ-საფუძვლები	4/100	15	15				1	1	68
	AAC60906G1	რეკლამა და შუქრეკლამა	4/100	15				15	2	2	66
	AAC70206G1	არქიტექტურული დისკურსი და ინტერიერი	4/100	15	15				1	1	68
	AAC70306G1	ეპოქა და სტილი ინტერიერში	4/100	15	15				1	1	68
	AAC12406G1	ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების პრინციპები	4/100	15				15	1	2	67
28.	AAC11306G1	მცირე საზოგადოებრივი ობიექტის არქიტექტურული დაპროექტება	5/125				30		15	2	76
29.	AAC20606G1	ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 1	5/125				30		15	2	76
30.	AAC70406G1	ინტერიერის დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	5/125	15					30	2	76
31.	AAC61006G1	გარემოს დიზაინური დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები	5/125	15					30	2	76
32.	AAC11106G1	არქიტექტურის და ხელოვნების თანამედროვე პრობლემები	3/75	30					1	1	43
33.	HHS20303G1	შრომის დაცვის საფუძვლები	3/75	15			15		1	1	43
34.	AAC12506G1	კონსტრუქციები არქიტექტურაში 1	3/75	15					15	1	43
35.	AAC11406G1	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დაპროექტება	5/125				30		15	2	76
36.	AAC20706G1	ქალაქი, ტრანსპორტი და ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 2	6/150	15	15				30	2	86
37.	AAC70506G1	საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერის დაპროექტება	5/125						45	2	76
38.	AAC61106G1	ქუჩის მონაკვეთის დიზაინ-პროექტი	5/125						45	2	76
39.	AAC12606G1	კონსტრუქციები არქიტექტურაში 2	4/100	15					15	1	68
40.	AAC11506G1	საზოგადოებრივი ცენტრის არქიტექტურული დაპროექტება	5/125				30		15	2	76
41.	AAC20806G1	ქალაქთმშენებლობითი პროექტირება 3	5/125				30		15	2	76

42.	AAC70606G1	სამრეწველო დანიშნულების ინტერიერის დაპროექტება	5/125			15			30	2	2	76	
43.	AAC61206G1	მცირე არქიტექტურული ფორმების დიზაინ-პროექტი	5/125						45	2	2	76	
44.	AAC12706G1	კონსტრუქციები არქიტექტურაში 3	4/100	15					15	2	2	66	
45.	PHS53206G1	არქიტექტურული ფიზიკა - შენობების ენერგოეფექტურობა, კლიმატოლოგია, ინსოლაცია	5/125	15		24			6	1	2	77	
46.	AAC11606G1	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული დაპროექტება	5/125			30			15	2	2	76	
47.	AAC11906G1	შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია	6/150	15		15		30		2	2	86	
	AAC50206G1	ლანდშაფტური არქიტექტურა	6/150	15		30			15	2	2	86	
	AAC61306G1	გარემოს დიზაინური პროექტირება	6/150					10	50	2	3	85	
48.	AAC12006G1	საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების არქიტექტურა	5/125	15					30	1	1	78	
	AAC20506G1	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები	5/125	15		15			15	2	2	76	
	AAC60106G1	ფერთამცოდნეობა	5/125	15					30	1	2	77	
49.	PHS53306G1	არქიტექტურული ფიზიკა - განათებულობა, აკუსტიკა	4/100	9		6	3		12	1	2	67	
50.	AAC11706G1	სამრეწველო-სატრანსპორტო შენობის არქიტექტურული დაპროექტება	5/125			30			15	2	2	76	
51.	AAC84101G1	საინჟინრო კონსტრუქციები	3/75	15		15				1	1	43	
	AAC90301G1	თბო-აირ მომარაგება და ვენტილაცია	3/75	15		15				1	1	43	
	AAC12806G1	შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა და კონსტრუქციები	3/75	15					15	1	1	43	
	AAC30301G2	სამშენებლო სივრცე და მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიები	3/75	15	15						1	1	43
	BUA75601G1	დაპროექტებისა და მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია	3/75	15		15					1	1	43
52.	HEL21106G1	არქიტექტურული დისკურსის თემები საერთაშორისო არქიტექტურაში	5/125	30					15	1	1	78	
	AAC20406G1	ურბანული (ქალაქთმშენებლობითი) რეკონსტრუქცია	5/125	15	30					1	1	78	
	AAC61406G1	ინოვაციური მასალები არქიტექტურულ დიზაინში	5/125	8	37					1	1	78	
53.	AAC12306G1	საბაკალავრო პროექტი (არქიტექტურა)	7/175						75	6	6	88	
	AAC20206G1	საბაკალავრო პროექტი (ურბანისტიკა)	7/175						75	6	6	88	
	AAC60806G1	საბაკალავრო პროექტი (გარემოს დიზაინი)	7/175						75	6	6	88	
54.	HEL21206G1	არქეოლოგიური არქიტექტურა და ძეგლთა რესტავრაცია	3/75	15	15					1	1	43	
	AAC12106G1	არქიტექტურის პოეტიკა	3/75	15		15				1	1	43	
	HEL21006G1	არქიტექტურული დისკურსი და	3/75	15	15					1	1	43	

		ქალაქი											
	HEL24906G1	ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია	3/75	15	15						1	1	43
	PHS30103G1	დედამიწის ისტორია	3/75	15	15						1	1	43
55.	AAC60206G1	გამწვანება და დეკორი	5/125	15					30		1	2	77
	MAP30106G1	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	5/125	15		15	15				1	1	78
	MAP30206G1	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები (ანტროპომეტრია)	5/125	15			30				1	1	78
	MAP30306G1	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	5/125	15		30					1	1	78
	MAP30406G1	აქსესუარების მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარება	5/125	15		30					1	1	78
	BUA75701G1	სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი	5/125	15		30					1	1	78
56.	ART20206G1	ავეჯის დიზაინი	6/150	15					45		1	1	88
	AAC10906G1	მოცულობითი მოდელირება	6/150	15					45		1	1	88
	ICT16206G1	სამგანზომილებიანი მოდელირება	6/150				60				1	1	88

პროგრამის ხელმძღვანელი

ნუგზარ ხვედელიანი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ხაბეიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ნინო იმნაძე

**დამტკიცებულია**

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 3 ივლისი 2012 წელი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

**მოდირიგებულია**

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N 9 25 სექტემბერი 2020 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ნინო იმნაძე